ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45

2025 წლის 26 სექტემბერი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №15; №15 ა ; №17; №19; №21; №23; №25; №25ა ; №27, დაბა მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი №15; რაიონი ხელვაჩაური , სოფელი განთიადი, დაბა მახინჯაურის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ : 05.30.39.006; 05.30.39.007; 05.30.39.011; 05.30.39.012; 05.30.39.019; 05.30.39.021; 05.30.39.023; 05.30.39.025; 05.30.39.026; 05.30.39.030; 05.30.39.031; 05.30.39.037; 05.30.39.041; 05.30.39.043) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აგვისტოს №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №15; №15 ა ; №17; №19; №21; №23; №25; №25ა; №27, დაბა მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი №15; რაიონი ხელვაჩაური, სოფელი განთიადი, დაბა მახინჯაურის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.30.39.006; 05.30.39.007; 05.30.39.011; 05.30.39.012; 05.30.39.019; 05.30.39.021; 05.30.39.023; 05.30.39.025; 05.30.39.026; 05.30.39.030; 05.30.39.031; 05.30.39.037; 05.30.39.041; 05.30.39.043) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აგვისტოს №42 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 02/09/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016725) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში , თამარ მეფის გამზირი №15; №15 ა ; №17; №19; №21; №23; №25; №25ა ; №27, დაბა მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი №15; ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი, დაბა მახინჯაურის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს / კ : 05.30.39.006; 05.30.39.007; 05.30.39.011; 05.30.39.012; 05.30.39.019; 05.30.39.021; 05.30.39.023; 05.30.39.025; 05.30.39.026; 05.30.39.030; 05.30.39.031; 05.30.39.037; 05.30.39.041; 05.30.39.043) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პირველ მუხლში და დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება და გეგმარებითი ერთეულის შემადგენლობაში არსებული ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.30.39.041) მისამართად, ნაცვლად „რაიონი ხელვაჩაური, სოფელი განთიადისა“ მიეთითოს: „ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი“.

3. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ე.წ. „შავ კარკასულ მდგომარეობაში“ მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა. საცხოვრებელი ბინა ერთეულების ფართობი დგინდება კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით, ან/და საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე.წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი საბაზრო ღირებულების (საბაზრო ღირებულება განისაზღვრება საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) – აუდიტის უფლებამოსილების მქონე პირის აუდიტორული დასკვნის ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე) გადახდით. ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, ხოლო საკომპენსაციო ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხდება მშენებლობის ნებართვის აღებამდე. ასევე დამატებით მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს გზის გაფართოებისათვის საჭირო საპროექტო არეალის მოპირდაპირე მხარეს არსებული შენობა/ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის მიერ ათვისებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან/და აღნიშნული შენობა/ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების ათვისება და უსასყიდლოდ საკუთრებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**